

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (TICE) ინტეგრაცია ფრანგულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში

მირანდა ლომიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

mirandalomidze@gmail.com

ანოტაცია: საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ფრანგულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია და მეტწილად დამოკიდებულია მასწავლებელთა მოტივაციასა და კომპეტენციაზე. საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩართვამ სასწავლო პროცესში განაპირობა უცხო ენის სწავლების მეთოდების დახვეწა და სახეცვლილება. ტრადიციულ მეთოდს აღარაფერი აქვს საერთო დღეს არსებულ და აღიარებულ მეთოდებთან. შესაბამისად გაიზარდა უცხო ენაზე კომუნიკაციის როლი და მნიშვნელობა, გაფართოვდა ან საერთოდ მოიშალა საზღვრები. შესაბამისად აუცილებელი გახდა არა მხოლოდ ვასწავლოთ ფრანგული ენა არამედ ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ ფრანგული, როგორც უცხო ენა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია სწავლა/სწავლების პროცესში უკვე აუცილებლობას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ფრანგული ენა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, უცხო ენა, სწავლა/სწავლების მეთოდები

I შესავალი

საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების და ზოგადად მულტიმედიის სწრაფმა განვითარებამ, შესაბამისი გავლენა იქონია სწავლა/სწავლების პროცესზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალი ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა უცხო ენების სწავლა/სწავლებისას.

კომპიუტერული და მულტიმედია ტექნოლოგიების გამოყენება ფრანგულის გაკვეთილზე ერთ-ერთ აქტუალურ მიმართულებად იქცა მეთოდოლოგიაში, რომელიც ახალ მიდგომებსა და არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს ეფუძნება. ამ

შემთხვევაში TICE¹ დანერგვა პროფესიულ-პედაგოგიურ საქმიანობაში ეპოქის გამოძახილია, მასწავლებელი კი იძულებული ხდება მუდმივად განაახლოს მუშაობის ფორმები და მეთოდები. მათ შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს მულტიმედიური პრეზენტაციები, დაფა-ეკრანი, პროექტორი და კომპიუტერი. ნებისმიერი მასწავლებელი, რომელიც ფლობს ელემენტარულ კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს შეძლებს თავად შეადგინოს გაკვეთილის შესაბამისი მასალა Power Point ის პრეზენტაციის სახით. ამ ტიპის პრეზენტაციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ინტერაქტიულია, მულტიმედიურია და ინფორმაციის კომპლექსურად მიწოდების საშუალებას იძლევა.

ჩვენ მიერ შედგენილი პრეზენტაცია მოითხოვს სერიოზულ მომზადებას, სწორედ აქ ვლინდება მასწავლებლის ინდივიდუალიზმი და პროფესიონალიზმი. ყოველი მასწავლებელი პრეზენტაციაზე მუშაობისას უნდა ითვალისწინებდეს ჯგუფის სპეციფიკას, მოსწავლეთა მიერ ენის ფლობის დონეს.

TICE ის დანერგვით სასწავლო პროცესში თავად მასწავლებელი მუდმივ ძიებაშია, შესაბამისად კი პროფესიული თვალსაზრისით იზრდება და იხვეწება.

II საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ფრანგული ენის სწავლების პროცესში

თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით, უცხო ენის სწავლებისას მასწავლებელი ენას კი არ ასწავლის, არამედ ამ ენაზე ურთიერთობას აჩვენებს

¹ TICE - Technologies de l'Information et de la Communication pour l'Enseignement

ენის შემსწავლელს, რადგან ენობრივი კომპეტენციის ფორმირების მთავარი მიზანი კომუნიკაციაა. კომუნიკაცია კი თავისთავად ენობრივ ქმედებას გულისხმობს. უცხოური ენების სწავლების მოდელი შედგება სამი ურთიერთშემადგენელი ელემენტისაგან:

- ✓ კომუნიკაცია
- ✓ ქმედება
- ✓ კომპეტენცია

საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსის გამოყენება განათლების სფეროში პერსპექტიული და ინოვაციურია. არსებობს სინქრონული და ასინქრონული ხასიათის საკომუნიკაციო საშუალებები. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს რეალურ დროში ურთიერთობას (ჩატი, ფორუმი, ვიდეო-აუდიო კონფერენცია). ასინქრონული კი პირიქით, არ ხასიათდება დროში შეზღუდულობით და შესაბამისად სწავლების პროცესში გამოყენებისას კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური საშუალება (ფორუმები, ელექტრო და აუდიო ფოსტა, საიტები, ბლოგები, ვიკი). სტუდენტებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ასინქრონული ტიპის კომუნიკაციაა, რადგან ამ შემთხვევაში ისინი არ არიან შეზღუდულები დროში და პასუხის გაცემამდე აქვთ საშუალება გადახედონ მასალას, დაფიქრდნენ, იაზროვნონ.

დღესდღეობით ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს ონლაინ დღიურები ე.წ ბლოგები. წერილობითი ელექტრონული კომუნიკაციის შესწავლისას თემატური ბლოგის წარმოება ერთ-ერთო ყველაზე პერსპექტიული საშუალებაა. ბლოგის ავტორი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე პიროვნება. საიტებისაგან განსხვავებით ბლოგის წარმოება არ მოითხოვს კომპიუტერთან მუშაობის განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს, მისი ადმინისტრირება და მოდელირება საკმაოდ ადვილია. შესაბამისად ვებ ბლოგი უკონკურენტოა ელ. ფოსტას, ფორუმსა და ჩატს შორის რადგან ყველასთვის ხელმისაწვდომი და მარტივია, შესაბამისად მეტად ეფექტური, ინტერაქტიული და მულტიმედიაურია.

ბლოგების გამოყენება სწავლების პროცესში აბსოლუტურად ახალი მიმართულებაა და მოიცავს საკმაოდ დიდ ლინგვოდიდაქტიკურ პოტენციალს, ასევე ხასიათდება რიგი უპირატესობებით

- ✓ ბლოგი ღიაა ფართო მასებისთვის, შესაბამისად მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ნებისმიერ ფრანკოფონს აქვს საშუალება ნაიკითხოს, დააკომენტაროს, დაწეროს შენიშვნა
- ✓ სტუდენტს/მასწავლებელს მართებს მეტი პასუხისმგებლობა ბლოგის შექმნისას და

ფორმატირებისას, რადგან ბლოგი ღიაა თემით დაინტერესებული ნებისმიერი

მსურველისათვის

- ✓ ინფორმაციის ფილტრაციისა უნარ-ჩვევებს ავითარებს
- ✓ საიტზე ასატვირთი მასალის დამუშავების პროცესში ენობრივი კომპეტენცია იხვეწება
- ✓ ბლოგის კონტექსტში პრობლემების განხილვისათვის შესაბამის გარემოს უზრუნველყოფს

ჯ. შტორმის, ე. უილიამსის და ბრიუს კრისტის მიერ შემუშავებული Social presence theory (სოციალური ყოფნის თეორია) მიხედვით სოციალური თანხლება ძალიან დიდ გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხზე და ეხმარება სტუდენტებს შეეგუონ და ეფექტურად იმუშაონ ონლაინ სივრცეში. სოციალური ყოფნა ელექტრონულ სამყაროში განიხილება როგორც თვითწარდგენა და თვითდამკვიდრების სურვილი, შესაბამისად მზაობა ურთიერთობის მიმართ. Social presence ინდიკატორებად შეიძლება ჩაითვალოს

- ✓ პუნქტუაციის, ტექსტის გამოყოფის, სმაილების მეშვეობით ემოციის გამოხატვა
- ✓ ღიაობა, პირადი ინფორმაციის გაზიარებისთვის მზაობა
- ✓ გუნდური პრინციპით მუშაობა

აუცილებლად გასათვალისწინებელია ენის შემსწავლელის ასაკი. კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვები და მოზარდები ტექნიკასთან უფრო ხალისით მუშაობენ, იმ დროს, როცა ბევრი ზრდასრული ჯერ კიდევ არ არის მზად გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები ენის შესწავლისას. ასევე შეუძლებელია ენის შემსწავლელის ფსიქო-აფექტური მდგომარეობა. ამ შემთხვევაში მთავარ მოტივატორად, პროცესის წარმმართველად გვევლინება თავად მასწავლებელი, თუმცა ზოგჯერ თავად მასწავლებელი არაა დარწმუნებული საკუთარ თავში და ზოგადად მულტიმედიაური რესურსის ჩართვას სასწავლო პროცესში ეჭვის თვალით უყურებს. პრობლემას ისიც ამწვავებს, რომ საქართველო, ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, როგორც განვითარებადი ქვეყანა ახალ ტექნოლოგიებს ფებს შედარებით გვიან უწყობს. ამისათვის საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი და ფრანკოფონული საუნივერსიტეტო გაერთიანება და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტები, მათ შორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბევრს იღწვის. მაისის თვეში მათი ხელშეწყობით ჩატარდა ტრენინგი ფრანგული ენის მასწავლებელთათვის “Mettre en ligne un scénario pédagogique”. ტრენინგში მონაწილეობას იღებდა ფრანგული ენის 37

მასწავლებელი. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებლების ნაწილი ვერ იაზრებს სწავლების პროცესში საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციის აუცილებლობას და არ/ვერ ფლობს კომპიუტერთან მუშაობის საჭირო უნარ-ჩვევებს. ეს ყველაფერი იმითაც აიხსნება, რომ ამ მასწავლებლების უმრავლესობას ფრანგული, როგორც უცხო ენა აბსოლუტურად სხვა მეთოდით (ტრადიციული) აქვთ ნასწავლი. მათი უმრავლესობა აცნობიერებს ამას და ცდილობს არ ჩამორჩეს ეპოქის მოთხოვნებს, გაიზარდოს პროფესიულად და იმუშავოს საკუთარ თავზე. თუმცა სამწუხაროდ არსებობენ ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც ამუხრუჭებენ პროცესს, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტრენინგის მსვლელობისას ყველაზე უსიყური მასწავლებლებიც კი დაინტერესდნენ და ჰქონდათ მცდელობა გაეკეთებინათ საკუთარი სავარჯიშოები ან აეტვირთათ ვაკეითილი.

საბოლოოდ ჩვენ მივიღეთ მასწავლებელთა ორი კატეგორია

ვინც თავად შექმნის სხვადასხვა ტიპის აქტივობებს ონლაინ რეჟიმში, აწარმოებს ბლოგს, მიმოწერას სხვა პედაგოგებთან მეილის მეშვეობით და გაუზიარებს საკუთარ გამოცდილებას ყველა დანარჩენს.

ვინც არ/ვერ შექმნის ონლაინ აქტივობებს, ვერ აწარმოებს ბლოგს, თუმცა გამოიყენებს სხვების მიერ უკვე ატვირთულ, გამოსაყენებლად გამზადებულ ინტერაქტიულ სავარჯიშოებს, ვაკეითილებს სწავლების პროცესში.

III დასკვნა

TICE ის ინტეგრაცია ფრანგულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია და მეტწილად დამოკიდებულია მასწავლებელთა მოტივაციასა და კომპეტენციებზე. საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩართვამ სასწავლო პროცესში განაპირობა უცხო ენის სწავლების მეთოდების დახვეწა და სახეცვლილება. ტრადიციულ მეთოდს აღარაფერი აქვს საერთო დღეს არსებულ და აღიარებულ მეთოდებთან. შესაბამისად გაიზარდა უცხო ენაზე კომუნიკაციის როლი და მნიშვნელობა, გაფართოვდა ან საერთოდ მოიშალა საზღვრები. შესაბამისად აუცილებელი გახდა არა მხოლოდ ვასწავლოთ ფრანგული ენა არამედ ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ ფრანგული, როგორც უცხო ენა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების ინტეგრაცია სწავლა/სწავლების პროცესში უკვე აუცილებლობას წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია:

- [1] BASQUE Josianne, LUNDGREN-CAYROL Karin, 2003 : Une typologie des typologies des usages des TIC en éducation. Télé-université. <http://tecfa.unige.ch/tecfa/teaching/riat140/0304/typologies.pdf>
- [2] BEZIAT Jacques, PICCARDO Enrica, 2007 : Langues, formation et technologies numériques : Regard sur la recherche francophone. <http://www.adjectif.net/spip/spip.php?article47>
- [3] BOLOT Jean-Chrysostome, DABBOUS Walid, 2004 : L'Internet: Historique et évolution : Quel avenir prévisible? <http://planete.inria.fr/dabbous/publis/administration97.pdf> Centre national de documentation pédagogique-DIE, 1994 : Les apports du multimédia : des outils multimédias au service de l'oral. <http://www.cndp.fr/archivage/valid/13509/13509-1254-1325.pdf>
- [4] DEMAIZIÈRE Françoise, 2007 : « Didactique des langues et TIC : les aides à l'apprentissage », ALSIC, Vol. 10, n° 1. <http://alsic.revues.org/index220.html>
- [5] VELOTTE Christine, 1997 : « Lecture et cyberlecture », dans Le Français dans le Monde. Recherche et application. Numéro spécial. <http://halshs.archives-ouvertes.fr/halshs-00151858/fr/>
- [6] DUCHÂTEAU Charles, 1995 : Enseigner l'informatique, à l'université, à de futurs utilisateurs : pourquoi, quoi et comment ? <http://www.det.fundp.ac.be/cefis/publications/charles/Enseigner-5-41.pdf>
- [7] KERBRAT-ORECCHIONI Catherine, 1999 : L'approche interactionnisme en linguistique. <http://www.lang.osaka-u.ac.jp/~benoit/fle/conferences/kerbratinter.html> 404
- [8] LEFÈVRE Nicolas, 2008 : Méthodes et techniques d'enquête : l'entretien comme méthode de recherche,
- [9] LUCAS Silvie, 1999: Etat des structurations métacognitives. <http://metacognition.com.ifrance.com/metaconnaissances.htm>